18/10/2020

მეუფე შიო: “ვხედავთ, რომ ადამიანებს არ ესმით ქრისტიანობის არსი”

ჩვენ მშვიდობის სული უნდა შევინარჩუნოთ, რომ არ გვქონდეს სიძულვილი და უსიყვარულობა ჩვენს გულში და ამით ჩვენ გავძლიერდებით, – ამის შესახებ სრულიად საქართველოს პატრიარქის მოსაყდრემ მეუფე შიო მუჯირმა სამების საკათედრო ტაძარში გამართულ წირვაზე განაცხადა.

ამასთან, მეუფე შიომ აღნიშნა, რომ ადამიანებს არ ესმით ქრისტიანობის არსი.

“ვხედავთ, რომ ადამიანებს არ ესმით ქრისტიანობის არსი, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მათგანი ეკლესიაშიც დადის და უფრო ფიქრობენ, რომ ჩვენი სარწმუნოების გარეგნული მხარის დაცვა არის საკმარისი იმისთვის, რომ ქრისტიანები გვეწოდოს და ამ დროს ავიწყდებათ შინაგანი მხარე. ღმერთისთვის სწორედ შინაგანი მხარეა მთავარი, თუ რა გვაქვს ჩვენ სულში და გარეგნული მხარე – ჯვრის ტარება, ეკლესიაში თავის დროზე მოსვლა და ლოცვების წაკითხვა აზრს კარგავს, თუ არ არის შინაგანი მხარე”, – განაცხადა მეუფე შიო მუჯირმა.

— dogma.ge